ტრენერი: მას შემდეგ, რაც ჰაბის წევრი განახორციელებს/დაესწრება ახალგაზრდულ და გარემოსდაცვით კამპანიებს, მას შეუძლია მიმართოს ჰაბის კოორდინატორს და კოორდინატორის თანხმობის მიღების შემდეგ, გახდეს ჰაბის ტრენერი. ტრენერის ამოცანაა, გადააქციოს ჰაბის წევრთა მიერ მიღებული გამოცდილება საგანმანათლებლო შესაძლებლობებად და, ამასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზოს დამატებითი სატრენინგო მოდულები იმ უნარების განსავითარებლად, რომლებიც ჰაბის წევრთა უმეტესობას ყველაზე მეტად სჭირდება. ტრენერების მხარდასაჭერად, დამატებით დაიგეგმება ტრენერთა ტრენინგების რამდენიმე ციკლი.

ტრენერის სტატუსის მინიჭების პრერეკვიზიტები:

- მინიმუმ 3 კამპანიის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება;
- მინიმუმ 3 თვის განმავლობაში ჰაბის აქტიური წევრობა;
- მინიმუმ 3 ტრენინგსა თუ კამპანიაში მონაწილეობის მიღება/ჩართულობა;
- მინიმუმ 2, ისეთი შინაარსის ტრენინგში მონაწილეობის მიღება, რა მიმართულებითაც კანდიდატს სურს ტრენერობა.

კოორდინატორი: ინოვაციურ ცოდნის ჰაბს ჰყავს კოორდინატორები, რომლებიც ახორციელებენ ჰაბის წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს, ამზადებენ ჰაბის მუშაობის ანგარიშს და უძღვებიან მის საქმიანობას.

ჰაბის საქმიანობის პრინციპები

ინოვაციური ცოდნის ჰაბი ფუნქციონირებს ორ ძირითად პრინციპზე დაყრდნობით:

მოხალისეობრიობა – ახალგაზრდები თავად იღებენ გადაწყვეტილებას, გახდნენ თუ არა ჰაბის ნაწილი. შესაბამისად, თავად არიან პასუხისმგებლები იმ კომპეტენციების შეძენაზე, რასაც მათ ჰაბი სთავაზობს.

მონაწილეობითობა – ჰაბში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ დაინტერესებული ახალგაზრდები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ღონისძიებებში (ხელმისაწვდომი/მოწესრიგებული ფიზიკური გარემო, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით დაგეგმილი პროგრამა).

ვამაყობთ მრავალფეროვნებით

ინოვაციური ცოდნის ჰაბები შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტის „EU4Youth: სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისთვის საზღვისპირა რეგიონებში“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებენ CENN, KRDF და Green Lane NGO (სომხეთი).

ინოვაციური ცოდნის ჰაბების პარტნიორები არიან: საზოგადოება „ბილიკი“ (გორი), საზოგადოებრივი განვითარების ფონდი (ახმეტა), და ნინოწმინდის ახალგაზრდული ცენტრი (ნინოწმინდა).

საზოგადოება „ბილიკი” არის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 1997 წლის მაისში შიდა ქართლში დაფუძნდა.

საზოგადოება „ბილიკი“ ვითარდება და აქტიურად საქმიანობს როგორც ბავშვზე ზრუნვის, ასევე დემოკრატიული ღირებულებების, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და თემის განვითარების სფეროებში. ორგანიზაცია მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობს და მისი ძირითადი მისია ახალგაზრდების, თემისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაზრდაა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ლია გორელიშვილი

გორის ინოვაციური ჰაბის კოორდინატორი
gorelishvilila@gmail.com

ირმა კიტრიაშვილი

გორის ინოვაციური ჰაბის კოორდინატორი
558 634 040
irma.kitriashvili@cenn.org

გიორგი ოგანესიანი

გორის ინოვაციური ჰაბის კოორდინატორი
598 77 02 25
giorgi.oganesiani@cenn.org

საზოგადოება „ბილიკი“
მისამართი, ქ. გორი, რუსთაველის #19/ა
ელ-ფოსტა: contact@biliki.ge
ტელეფონი: 0370 275410; 0370 277291
facebook: https://www.facebook.com/societybiliki

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Youth

CENN
Shaping the Future by Changing Today

ინოვაციური ცოდნის ჰაბის **სტრუქტურის გზამკვლევი**

KRDF
KAKHETI REGIONAL DEVELOPMENT FOUNDATION

SDA

Green lane

დოკუმენტის შესახებ

დოკუმენტი განკუთვნილია ინოვაციური ცოდნის ჰაბის აქტივობებით დაინტერესებული პირებისთვის. ჰაბის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია, მასში ჩართული ახალგაზრდები ნათლად იაზრებდნენ საკუთარ როლს. ამისათვის, გზამკვლევი მოიცავს პრაქტიკულ ინფორმაციას ჰაბის მიზნის, ძირითადი მიმართულებების, სტრუქტურისა და პრინციპების შესახებ.

მიზანი

ინოვაციური ცოდნის ჰაბი წარმოადგენს საგანმანათლებლო-განმავითარებელი ხასიათის პლატფორმას, რომლის არსებობაც მიმართულია ახალგაზრდების განვითარებისა და მათი დასაქმების ხელშეწყობისაკენ. ეს არის სივრცე ახალგაზრდული საქმიანობისთვის, რომლის მიზანია ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარება სოციალური და მწვანე მეწარმეობის მიმართულებით.

სტრუქტურა

ჰაბი არის პლატფორმა, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ იყვნენ როგორც ორგანიზატორთა გუნდის წევრები, ისე მონაწილეები იმ ღონისძიებების, პროექტებისა და კამპანიების, რომლებიც ეხება სოციალურ და მწვანე მეწარმეობას და ახალგაზრდების მხარდაჭერას მათი შემდგომი დასაქმების მიზნით.

ინოვაციური ცოდნის ჰაბის აქტივობები ძირითადად იმართება ახალგაზრდული და გარემოსდაცვითი კამპანიების ფარგლებში. კამპანიების მიზანია ახალგაზრდების გაძლიერება სოციალური და მწვანე მეწარმეობის სფეროში, ისევე როგორც მათი კომპეტენციებისა და უნარების ამაღლება.

ჰაბის საქმიანობაში ჩართული პირები:

- ბენეფიციარი/მონაწილე
- წევრი
- კამპანიის განმახორციელებელი
- ტრენერი
- კოორდინატორი

როლების შესახებ

ბენეფიციარი/მონაწილე: ჰაბის აქტივობებში ჩართვა შეუძლია 14-29 წლის ნებისმიერ დაინტერესებულ ახალგაზრდას.

ჩართულობისთვის საკმარისია ჰაბის კონკრეტულ პროექტში/აქტივობაში ჩართვის ინსტრუქციის გაცნობა და შესაბამისი სამუშაოს შესრულება. ღონისძიებების თავისებურებიდან გამომდინარე, შეიძლება საორგანიზაციო ჯგუფმა ჩართოს ყველა სამუშაოს მსურველი ახალგაზრდა ან მოითხოვოს სამოტივაციო წერილის დაწერა და/ან ჩაატაროს გასაუბრება. სამ აქტივობაზე დასწრების შემდეგ, ბენეფიციარს შეუძლია განაცხადი გააკეთოს ჰაბის წევრობაზე.

წევრი: ჰაბში გაწევრიანებისთვის საკმარისია მარტივი განაცხადის ფორმის შევსება (ფორმის მისაღებად, გთხოვთ, მიმართეთ ჰაბის კოორდინატორს). ჰაბის წევრობისთვის არ არის მოთხოვნა მაღალი აკადემიური მოსწრება, მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობის გამოცდილება ან სხვა რაიმე კრიტერიუმი. ერთადერთი წინაპირობა ჰაბის წევრობისა არის *ჰაბის მინიმუმ სამ აქტივობაში ჩახთვა.*

ჰაბის წევრს შეუძლია ინიციატივით მიმართოს ჰაბის კოორდინატორს, მოიძიოს თანამოაზრეები და დაგეგმოს პროექტი/ღონისძიება. ასევე, ჰაბის წევრი რეგულარულად უნდა ესწრებოდეს თავისთვის საინტერესო აქტივობებს.

კამპანიის განმახორციელებელი: სამი აქტივობის დაგეგმვის შემდეგ, ჰაბის წევრს შეუძლია მიმართოს ჰაბის კოორდინატორს და კოორდინატორის თანხმობის მიღების შემდეგ, მიიღოს კამპანიის განმახორციელებლის სტატუსი. კამპანიის განმახორციელებელი, ჰაბის წევრებთან ერთად განიხილავს ახალ იდეებს, ინიციატივებს, რესურსების მოძიების საკითხებს, აყალიბებს მინიმუმ ერთ თვიან სამოქმედო გეგმას და გეგმავს ახალ კამპანიებს.

კამპანიის განმახორციელებლის სტატუსის მინიჭების პრერეკვიზიტები:

- მინიმუმ 3 კამპანიის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება;
- მინიმუმ 3 თვის განმავლობაში ჰაბის აქტიური წევრობა;
- მინიმუმ 3 ტრენინგსა თუ კამპანიაში მონაწილეობის მიღება/ჩართულობა.